# მთლიანი შიდა პროდუქტი 2014 წელს

2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 29 150,5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8,6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 4,6 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 3,8 პროცენტით.

ცხრილი №1

| | 2013 | 2014 |
|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) | 26 847,4 | 29 150,5 |
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი) | 16 139,9 | 16 507,8 |
| მშპ ერთ სულზე (ლარი) | 5 987,6 | 6 491,6 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი) | 3 599,6 | 3 676,2 |
| მშპ-ის რეალური ზრდა (%) | 3,4 | 4,6 |
| მშპ-ის დეფლატორი (%) | -0,8 | 3,8 |



ცხრილი №2

**საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი** (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

| NACE-ის სექცია | 2013 | 2014 |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | 2 195,0 | 2 328,1 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 210,3 | 204,3 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2 468,5 | 2 664,7 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 699,8 | 712,0 |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 658,4 | 662,9 |
| მშენებლობა | 1 568,2 | 1 772,4 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 4 026,8 | 4 385,5 |
| სასტუმროები და რესტორნები | 526,2 | 595,6 |
| ტრანსპორტი | 1 789,2 | 1 928,9 |
| კავშირგაბმულობა | 662,0 | 692,9 |
| საფინანსო საქმიანობა | 706,1 | 863,8 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 1 351,9 | 1 517,8 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | 791,6 | 841,0 |
| სახელმწიფო მმართველობა | 2 365,4 | 2 478,9 |
| განათლება | 1 202,5 | 1 276,1 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 1 338,5 | 1 514,9 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 1 069,6 | 1 032,4 |
| შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის | 29,6 | 28,4 |
| ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება | -324,7 | -405,1 |
| **მშპ საბაზისო ფასებში, მლნ, ლარი** | **23 335,0** | **25 095,7** |
| (+) გადასახადები პროდუქციაზე | 3 659,5 | 4 203,6 |
| (-) სუბსიდიები პროდუქციაზე | 147,2 | 148,8 |
| **მშპ საბაზრო ფასებში, მლნ, ლარი** | **26 847,4** | **29 150,5** |

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ვაჭრობის (17,5 პროცენტი) და მრეწველობის (16,9 პროცენტი) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს იკავებენ: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,4 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (9,9 პროცენტი), სოფლის მეურნეობა (9,3 პროცენტი), მშენებლობა (7,1 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (6,0 პროცენტი).

## მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა
## 2014 წელი



ცხრილი №3

**მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი)**

| NACE-ის სექცია | 2013 | 2014 |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | 11,3 | 1,6 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 2,5 | 0,2 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 8,4 | 3,3 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 5,5 | -2,4 |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 6,4 | 1,3 |
| მშენებლობა | -10,1 | 13,1 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 5,3 | 5,8 |
| სასტუმროები და რესტორნები | 4,7 | 7,3 |
| ტრანსპორტი | 3,9 | 5,8 |
| კავშირგაბმულობა | 1,0 | 6,3 |
| საფინანსო საქმიანობა | 7,2 | 9,9 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 9,6 | 8,1 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | 3,1 | 2,6 |
| სახელმწიფო მმართველობა | 2,2 | 2,5 |
| განათლება | 3,1 | 3,1 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | -0,2 | 1,5 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 1,6 | 0,8 |
| შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის | -0,5 | -5,4 |
| ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება | 11,0 | 11,0 |
| **მშპ საბაზისო ფასებში** | **3,8** | **4,4** |
| გადასახადები პროდუქციაზე | 1,0 | 5,7 |
| სუბსიდიები პროდუქციაზე | 14,1 | 0,0 |
| **მშპ საბაზრო ფასებში** | **3,4** | **4,6** |
| მშპ დეფლატორის ზრდა | **-0,8** | **3,8** |

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა (13,1 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (9,9 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (8,1 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (7,3 პროცენტი), ვაჭრობა (5,8 პროცენტი), ტრანსპორტი (5,8 პროცენტი).

კლება აღინიშნა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილებაში (2,4 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე:




**შენიშვნა:** ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

- დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2016 წლის 15 ნოემბერს

## საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2015 წლის პირველი და მეორე კვარტალის მონაცემები თავდაპირველად გაანგარიშდა 2014 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. ხოლო 2015 წლის ნოემბერში, 2014 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2014 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვალა 2015 წლის პირველი და მეორე კვარტალის მონაცემებიც. ანალოგიურად, 2016 წლის ნოემბერში საბოლოოდ დაზუსტდება 2015 წლის წლიური მაჩვენებლები.

წლიურ დაზუსტებასთან ერთად საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია დინამიკური მწკრივების ერთიანი ცვლილება, რომელიც ხორციელდება ხუთ წელიწადში ერთხელ და ითვალისწინებს ამ პერიოდში მომხდარ მეთოდოლოგიურ ცვლილებებს ან ახალი გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენების საჭიროებას.

დაზუსტების შედეგად 2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი შემცირდა 0,2 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 4,6 პროცენტი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპები დაზუსტებამდე და დაზუსტების შემდეგ წლების მიხედვით:

| მშპ-ის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი) | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლიური დაზუსტების შემდეგ | 9.6 | 9.4 | 12.6 | 2.4 | -3.7 | 6.2 | 7.2 | 6.4 | 3.4 | 4.6 |
| წლიურ დაზუსტებამდე | 9.6 | 9.4 | 12.6 | 2.6 | -3.7 | 6.2 | 7.2 | 6.4 | 3.3 | 4.8 |

საკონტაქტო პირები: ლევან გოგობერიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: lgogoberishvili@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge